№ 82. 22 აპრილი, ხუთშაბათი. 1866—1882 22 აპრილი, ხუთშაბათი. № 82

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე, იგ. მუხრანსკის სახლებ-[illegible] ქვემოთ

ხელის-მოწერა

მიიღება თვითონ „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (ვერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

მთელი წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის ასოთი სტრიქონზე შაური.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკან ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

არწრუნის თეატრში
კვირას, 25 აპრილს
ბენეფისი
ქ. მესხისა
მონაწილეობას მიიღებს ე. მესხი
ქართული დრამატიული დასის არტის-ტებისაგან წარმოდგენილი იქნება:
I
ჟან ბოდრი
დრამა 4 მოქმ. ნათ. ფრანცუზულიდამ.
თამაშობენ: ნ. გაბუნია, მ. მესხი, ქ. მესხი, ვ. აბაშიძე, ქ. ყიფიანი და სხვ.
II
დატრიალდა ჯარა
ვოდევილი 1 მოქმედებად.
ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.
დასაწყისი 8 საათზე.

ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან.

ოზურგეთის მაზრის კეთილ-შობილთა წინამძღოლი აცხადებს და უმორჩილესად სთხოვს მაზრის თავად და აზნაურთ:

I. მობრძანდნენ ქ. ქუთაისში 30 ამ აპრილს, დილის ათ საათზედ ოზურგეთის თავად-აზნაურთა ჩვეულებრივ კრებაზედ, რომელიც უნდა შესდგეს: ა) მოსამზადებელად და მოსახდენათ სხვა-და-სხვა განკარგულებისა მომავალი მაისის საგუბერნიო კრებისათვის, ბ) მოსალაპარაკებლად თავიანთ საჭიროებაზედ.

II. წარმოუდგინონ მას კანონიერი საბუთები, რომლითაც შეეძლებათ მიიღონ მონაწილეობა ყოველ საგნის განხილვაში და წინამძღოლების ამორჩევაში. (6—2)

# ტელეგრამმა

(„სამეფო-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

პეტერბურღი, 20 აპრილს. მაკშეევის პროცესის თაობაზე ორი დღე და ღამე ჰქონდა სასამართლოს მსჯელობა და ბოლოს 19 აპრილს საღამოს 8 საათზე გამოიტანა თავის განჩინება: მაკშეევს და პრიოროვს გარდაუწყვიტეს ტომსკის გუბერნიაში გაგზავნა, შესტაკოვს—პერმის გუბერნიაში, კარასევიჩს — არხანგელსკის გუბერნიაში; სუყველას უნდა ჩამოერთვას აზნაურის ღირსება, ჩინები და პიროვნული უფლებანი; ტუტოვსკი სამსახურიდამ უნდა იქმნეს გადაყენებული და ამას გარდა 500 მან. ჯარიმა გადახდეს; კლეიერი გამოირიცხოს სამსახურიდამ; დანარჩენი რვა ბრალდებულნი სასამართლომ გაამართლა. სასამართლოს ხარჯი მაკშეევსა და პრიოროვს გადახდეს. პროკურორს აცნობეს, რომ მეიჯარადრე გარშავსკი, რომლის საქმე გამომძიებელს აქვსო, მოსკოვიდამ დაბორკილი მოჰყავთ პეტერბურღშიო.

## შენიშვნა

ყოველი ერის წარმატებას და მის გონებით სიცოცხლეს, მის მაღალი მიზნისადმი ლტოლვილებას, სხვათა შორის, ჰმოწმობენ მრავალნი არხიტექტურულნი და ხელოვნებითნი ნაწარმოებნი. ძველმა ეგვიპტელებმა დაგვიტოვეს პირამიდები, აკლდამები, უშველებელი თხრილები, რომელთ შემწეობითაც ეხლანდელი მეცნიერნი გამოიკვლევენ იმ ბნელ დროის ეგვიპტელების ცხოვრების გზა-კვალს და ტყობულობენ მათ გონებით ზრდას, პროგრესს. ბაბილოველთ, ნინევიელთ და სხ. ეგვიპტელებზე არა-უმცირესი ღვაწლი მიუძღვით ამ მხრით. ყველა ეს ხალხები თვისი ხელოვნური ნაწარმოებით იყვნენ ცივილიზაციის პირველი მედროშეთ.

მაღალის დანიშნულებისთვის არიან მოწოდებულნი არა მარტო ის ხალხნი, რომელთ გონებითი ნაწარმოები ჰშობავს მდიდარს ლიტერატურას, როგორც ზოგიერთები ამტკიცებენ, არამედ ის ერნიც, რომელთ ეროვნული ნიჭია ან მხატვრობა, ან არქიტექტურა, ან მუსიკა, ან ქანდაკობა და ან სხვა. მხატვრობასთან, მუსიკასიან ერთად მშვენიერი რამის გამოკვლევას, გაკეთებას დიდი ნიჭი და ცოდნა უნდა. როგორც გონებითი, ისე ხელოვნებითი წარმატება დამოკიდებულია ჰკვის გამჭრიახობაზე და ცოდნაზე. ავსტრალიის ბარბაროსი ვერც სახლს იშენებს, ვერც აჩენს იკეთებს მიწის შესამუშავებლად და ლუკმის მოსაგებლად და ვერც წიგნს სწავლობს.

„არც ერთი ბრწყინვალე გვამი არა გვყოლია ჩვენა და თვით ჩვენი ისტორია არის ერთი უშნო, საცოდავი ნავლეჯი ხალხოსნობის ისტორიისაო", ეუბნებოდა ამ დღეებში ერთი ქართველთ მემატიანე ჩემს მეგობარს. იმ მემატიანეს ბევრნი ბანს აძლევდნენ.

ჩვენი ერი ქვეყანამაც იცის, რომ დაბადებულა მიწის მუშაკად—გიორგად—(გი—მიწა; ორო—ვხნავ, ბერძნულად). მიწის შემუშავება იყო უმთავრესი ხელობა, ნიჭი ჩვენი ხალხისა, რომელსაც ამავე დროს არ ჩამორთმეოდა სხვა ნიჭნიც: მწყემსობა, მეომრობა, მწიგნობრობა და სხ. აი რა ცხოველის ძალით, მარტივად და მოჭრით გამოუხატავს სახალხო პოეზიას უპირატესი მიდრეკილებანი ქართველთ ხალხებისა:

„პირველ თქმულია ძველთაგან სიდარბაისლე მესხისა,
პურადობა და ვაჭრობა ქართლელთ არ დაქრასვისა,
ზრდილნი არიან იმერნი, მტერთა მიმცემი რისხვისა,
ომი და ლხინი კახისა მოსაწონია ცისა".

სიდარბაისლე არის შედეგი განათლებისა. უჭკუო, გაუნათლებელი ხალხი ბრიყვი, ველურია. პურადობა და ვაჭრობა ერთად აგრეთვე კაი განძია ერისა. მაჭარ ხალხს გროში გაღმერთებული არ უნდა ჰქონდეს, თუ იგი იმავე დროს პურადიცაა, რადგან ვისაც მხოლოდ გამდიდრება, მოგება უნდა, ის არ იპურადებს, არ დააბნევს მონაგარს; პურადი ხალხი მწყალობელია უძლურთა, გლახაკთა და ყველასი, ვინც კი ჰსაჭიროებს რასმე. ზღვაში დალუპულების და მგზავრობაში შეწუხებულის შველა როგორც მოგვითხრობს ქრისტეს წინა საუკუნეში მცხოვრები სტრაბონი უუძველეს დროითგან იცოდნენ ქართველებმა. გლახაკების შებრალებას და აწინდელ დროში ვერ ასრულებელ და მოსათავსებელ ჰუმანიზმს მე-XII საუკუნეში ჰქადაგებდა დიდებული რუსთაველი:

„მიეც გლახაკთა საჭურჭლე, მიდგწიან მომიგონებენ, დამლოცვენ, მოგვეგონები".

«დროების» ფელეტონი, 22 აპრილი

## მამის-მკვლელი

(მოთხრობა*)

მოხში საკმაოდ ჩამობნელდა და მხოლოდ ჩქარ-ჩქარი ელვა ანათებდა იქაურობას. ზირგოლა მივიდა, ჩამოჯდა „მარტო შკაბზედ" და ჩაფიქრდა. ნუნუ მთლად ცახცახებდა. მობუჩვილი დღის მიზეზით, თუ სხვა რომელიმე გრძნობათ მღელვარების გამო იმას გული უდუღდა და ცრემლები მორეოდა თვალებში. კარგა ხანს ასე ჩუმად ისხდნენ.

— ქალაუ! ბოლოს გაწყვიტა სიჩუმე ზირგოლამ და იმის ხმა გამოისმა როგორღაც ყრუთ, უსიამოვნოთ. ნუნუ, რომელიც თითქოს ამ სიტყვებს ელოდა, შეკრთა, გაქრქოლდა და ცრემლები ლაპალუპით გადმოედინა.

— შენი ქმარი გავგზავნე... ზაგრძელა ზირგოლამ და ისევ გაჩუმდა.

— არ მოგდის? დაიწყო ისევ ზირგოლამ.

— რაი უყო, რომ გაგზავნე? უპასუხა ნუნუმ.

ზირგოლა კარგა ხანს დააცქერდა და მერე ჰკითხა:

— რაისთვი არ გიყვარს შენი ქმარი?... რაისთვი არ მოგწონს?

— მე ქმარი არა მყავს, მისცა მოკლედ პასუხი.

— ღვთის მადლმა მართალს უბნობ! უპასუხა ზირგოლამ და გაიხარხარა. —ეგეთი ქმარი თუნდ იყოს და თუნდ არა!... შენ ეგეთი ქმარი კი არ გინდა. აბა რაი კაცია ჩემი ძმა?!

— მაშ რაისათვის-ღა მოშიტაცეთ, რაისათვი ჩადექით ჩემს ცოდვაში? ღალონებით და საყვედურით უპასუხა ნუნუმ.

— რაისთვი?... იკითხა ზირგოლამ და ჩაიცინა.

— ჰო, რაისთვი?

ზირგოლა გაფითრდა და ცოტა სიჩუმის შემდეგ წყნარად მაგრამ გარკვევით უპასუხა:

— იმისთვი რომ მიყვარხარ!

ნუნუ არ მოელოდა ამ პასუხს, რომელმაც სიტყვა გაუწყვიტა პირში. ზირგოლა წამოდგა და გაიარ-გამოიარა.

— ზაიგე ახლა რადაც მოგიტაცე? ის მივიდა ქალთან ახლოს და ხელის მოხვევას უპირებდა.

— შორს!.. ხელის კვრით მოიშორა ნუნუმ—ცოდვიანო, შენი ძმის ცოლს მაგას რას მეუბნები?

— ქალაუ! მოვკვდი, ჩამოვლნი, დავილიე შენის ცქერით! ღმერთი არა გწამს, არ გეშრალები?

— შენ გიყვარდი და შენ ძმაზედ დამწერე ჯვარი?!.. პარგია-ღა კარგი!.. ზეყოფის დასიცილი.

— ღვთის მადლმა, მიყვარხარ და არც ვის არ დავუთმობ შენს თავს... ჩემი ძმის სიკვდილიც რომ დამჭირდეს, ემ ხანჯალს ტარამდინ ჩავუსვენ გულში და იმასაც არ დაგანებებ.

— რას უბნობ, შე ცოდვიანო, რასა?... მაგით გინდა შემაშინო?!

— მაშ რაითი დაგაჯერო, რაითი შემოგფიცო?

— ან ღვთისა აღარ გეშინიან, ან ხატისა.

— ნუნუ, ნუ მტანჯავ, ნუ მაწვალებ, ნუ, ღვთის მადლმა თორემ არ ვიცი რაი აგიტეხო შენცა დი ჩემს თავსაცა!

— რად არ ჩამომეხსნები, რაი გინდა ჩემგან?

— შენი სიყვარული!

— შენ... შენ შეგიყვარო!.. შენ, რო-

*) იხ. „დროება" № 75.

ზრდილობა და „მტერთა მიცემა რისხვისა“ შეუდარებელი საუნჯეა. ზრდილობით ვერ მოგერებულ მტერს რისხვას სცემდნენ და უკუ აქცევდნენ. ომი და ლხინი ერთად აგრეთვე არის კუთვნილება მაღალ სულოვან და თავისუფლების მოყვარე არსებისა

გარდა ხსენებულ სათნოებათა ჩვენა გვქონია ერთი უტყუარი სათნოება—ხელოვნება. თუ რომელიმე პაწაწა ერნი დაიკვეხიან თავიანთ ხელოვნებით,—იმათ შუა ჩვენ უკანასკნელი ადგილი არ გვეჭირება. შესანიშნავი ტაძრები, ციხეები, კოშკები, აგებულნი მიუვალ მთის წვერებზე, მთელს ჩვენს ქვეყანაში; მრავალი ქალაქები და სოფლები, რომელნიც აკვირვებდნენ განათლებულს ბერძნებს; მრავალი თხრილები, არხები, წამოყვანილნი შორეულის ქვეყნიდგან ურწყავ მიწის მოსარწყავად არიან მოწმად მისა, რომ ჩვენ ვიცხოვრია არა სხვის წყალობით, არამედ თვისი გონებისა და ჭკუისა. ჩვენ ისტორიის ბნელ დროიდგან ვიცოდით აგრეთვე სელისაგან ფარჩეულის ქსოვა. ჩვენებური ვაჭრობა—რიონ-მტკვარზე შესანიშნავი და განთქმული იყო ძველს დროში. ძველნი საქართველოს ჭურჭელნი თვისი ხელოვნებით ახლაც საკვირველებას შეადგენენ.

მე-III საუკ. ქრ. წინ მოგონილი ჩვენი ალფაბიტი აგრეთვე გვიმტკიცებს ჩვენს გონებით განვითარებას.

მაშ ამისთანა ხალხში როგორ არ გამოჩნდა არც ერთი ბრწყინვალე გვამი? მაშ რომელი ლოღიკის ძალით გამოგყავთ, ბატონებო, რომ ჩვენი ისტორია არის სახიჩრობის ნიმუში?

მე კი მგონია, რომ არა თუ ერთი ბრწყინვალე პირი უნდა ყოფილიყო ჩვენს ისტორიაში, არამედ მრავალი. უამისოთ ამდენი ველური ხალხების შემოწოლა-ღელვა-ბრუნვა ისე გააქარწყლებდა ამ ერთ მუჭა ხალხს, რომ აწი მისი სახსენებელიც აღარ იქნებოდა.

სპარსელებმა დაამხეს „ღვთის ხალხი“—ურიანი და გადაასახლეს; იმავე სპარსელებმა, თუმცა ხადისხანნ 500-700 ათასი კაცით შამოესეოდნენ ხოლმე, მაინც 3,000 წლის განმავლობაში ქართველები ადგილიდგან ვერ დასძრეს. არაბებმა შეარყიეს მთელი ევროპა და იმფლობელეს იქ დიდ ხანს; ქართველებს კი იმათ ვერ ჩამოართვეს თავისუფლება. ალექსანდრე მაკედონელმა დაიპყრო საბერძნეთი, მთელი მცირე აზია და მისი შუა-გული და ქართველებმა კი მისგან საქართველოში დაყენებული მმართველი განდევნეს და განთავისუფლდნენ. რომაელებმა დაარსეს მსოფლიო იმპერია, მაგრამ საქართველოსთან ზავი და მეგობრობა ეხარბებოდათ. ოსმალებმა გააუქმეს ბიზანტიის იმპერია, მაგრამ ვერ დაიპყრეს საქართველო, თუმცა ამას დიდის მოწიწებით სცდილობდნენ. მონგოლებმა შეარყიეს მთელი აზია-ევროპა და მოსხრეს მრავალი ხალხები, 300 წლით მამაკვდინებელი უღელი დაადვეს რუსეთს და იბატონეს იქ, საქართველოს კი მხოლოდ დრო-დროით 175 წ. განმავლობაში უფრო მომატებულის ძალით შამოესეოდნენ ხოლმე, აოხრებდნენ ქვეყანას და შემდეგ მიდიოდნენ. ქართველებზე არა-ერთხელ ცხარე ბრძოლას შემდეგ უთქვამთ მათ მხედრებს, რომ: ამისთანა მამაცი ხალხი ჯერ არ შემოგვბრძოლიაო.

თუ ყოველი კაცი ჩვენში უებრად მამაცი, მამულის და სარწმუნოების მოყვარე არ ყოფილიყო, გარწმუნებთ, რომ იმას ამდენი ღელვა შანთქავდა. მტრები აღიარებდნენ ჩვენს მამაცობას. მეფე ვახტანგს სპარსელები უწოდებდნენ გორგ-ასლანად, ესე იგი ქართველ ლომად; სულთანი სტამბოლისა სწერდა სპარსეთის შაჰს, „დროა დავაბათ ეგ გაშვებული ლომი“ (ირაკლი II). მთიული ხალხნი ეხლაც თამარს ჯინიფადი-შაჰს უწოდებენ.

რითი იყვნენ ლომები ვახტანგი, თამარი, ირაკლი? განა მარტო თავის ძალით? არა. იგინი იყვნენ ლომნი მხოლოდ დაგეშილი ლომების (ქართველი ჯარის) შემწეობით.

დიდი უმადურად იქნება ჩვენის მხრით თუ ჩამოვართმევთ იმ ძვირფასს ღვაწლს, რომელიც მიუძღვით მამულის და ქართველი წინაშე დავით აღმაშენებელს, ბაგრატ მესამეს, თამარს, გიორგი II ბრწყინვალეს, ვახტანგ VI, არჩილ მეფეს მისი ლიტერატურული ღვაწლისათვის, ირაკლი მეორეს და სხვ.

მეფეთ გარდა არა უმცირესი სათნოებით იყვნენ აღჭურვილნი წმ. მოღვაწე რაჟდენი, რომელმაც პირველად ასწავლა ქართველებს მამულისთვის და ქრისტეს სარწმუნოებისთვის სიკვდილი; წმ. ნინო ეს უზაკვო და ნეტარი არსება, რომლის სული და ხორცი შესდგებოდა მადლიანის სამსახურით მამულის წინ. აგრეთვე რუსთაველი, ჩახრუხაძე, შავთელი, იოანე, გიორგი მთაწმიდელი; პირველ სამთა დაარსეს საერო ლიტერატურა, მეორე სამაგალითო ენით გადმოიღეს სამღვთო წიგნები და დაარსეს სასულიერო ლიტერატურა. ნუ დავივიწყებთ ანტონი II-საც და მრავალთა სხვებს, რომელნიც არ იხსენიებიან ისტორიაში მიტომ, რომ ყველას მოხსენება ძნელი და შეუძლებელი საქმე იყო, ისტორიის კაბადონზე მოჰხდნენ მხოლოდ წარჩინებული და დიდებული გვარის მოღვაწენი და იმათგანაც არა ყველანი მრავალთა მიზეზთა გამო.

დიაღ, ესეთი იყო ჩვენი წარსული და მამულის-შვილობა. ახლაც ჩვენზედ გადმოდის მადლი მათი მოღვაწეობისა და სათნოებათა. ჩვენ ეხლაც ამდენი ვაების და ტანჯვის შემდეგ ვართ:

„ერი-გულადი, პურადი, მებრძოლი მა-
ვის ბუდისა,
შავთა დროთ ვერა შეჰსცვალეს მის გუ-
ლი ადამანტისა,
იგივ მხნე. იგივ მღერალი, მოყვარე თა-
ვის მიწისა!..

მოსე ჯანაშვილი.

## დღიური

უკანასკნელს (მეოთხე) ნომერში ჟურნალის „პირუტყვის დამცველისა“ სხვათა შორის იწერებიან, რომ ტფილისის პირუტყვთა დამცველი საზოგადოება ფოჩტის გამგეობის წინაშე შუამდგომლობსო, რომ რადგან კავკასიის ფოჩტის სტანციებზე ცხენები ერთობ ნაკლებად არის და ამის გამო დიდი ჯაფა აქვთ, ამის გამო კარგი იქნებაო, რომ ხსენებულ სტანციებზე მოუმატონ ცხენების რიცხვი, ნება არ მისცენ ცხენების ჩქარა გარეკვისა და ამას გარდა კურიერის ცხენები კერძო ეკიპაჟებში არ შეაბმევინონო.

* * *

ჩვენ მივიღეთ ერთის გულ-დამწვარის ცოლისაგან შემდეგი ამბავი გაზეთში გამოსაცხადებელად:

„ნათქვამია: „წყალ-წაღებული ხავსს ეჭიდებაო“. ჩემი საქმე სწორედ იგეთია. ქმარი დავკარგე და აქეთ-იქით ლობე-ყურეს ვედები.

„ჩემმა ქმარმა, დუშეთის მაზრის სოფელს ხილას მცხოვრებელმა, თევდორე სოლომონის-ძემ ბუჩაშვილმა, რომელიც თავის სამშობლოდამ იყო წამოსული და სცხოვრებდა ლაგოდეხში, წამიყვანა მეც წარსულის წლის შემოდგომაზედ და ორნივე ვსცხოვრებდით იქა. რადგანაც ჩვენ ორთავეს ლაგოდეხში არც მახლობელნი ნათესავნი და არც ერთგულნი ნაცნობნი არა გვყვანდნენ, ამისათვის ჩემი ღარიბი დედ-მამაც წამოიყვანა ჩემთან.

---

მელმაც დაღუპე, ცოცხალი მიწაში დამარხე იაგო?!... შენ, რომელმაც ულმერთოდ დამიბნელე დღე?.. შენ, რომელმაც იმედი გადამიწყვიტე ყველა სიხარულზედ!... რაის-ღა პირით მეუბნები, რომ შეგიყვარო?

— ძმაც შენი გულისთვის დავკარგე, ქვეყანასაც შენთვის გამოვაკლდი...

— შენს ძმაზედ რაღად დამწერე ჯვარი თუ კი შენ გიყვარდი? გააწყვეტინა აღელვებით ნუნუმ.—ეგეც ჩემი სიყვარულით მოგივიდა?

— ჰაი, ჰაი, რომ შენის სიყვარულით... მე ჯვარ დაწერილი ვიყავ, მეორედ აღარ დამწერდნენ ჯვარსა... ცოლიც შენის გულისათვის გავაგდე, ჩემს ძმაზედაც შენის სიყვარულით, დაგწერე ჯვარი... ჩემი ძმა მე ვერ მომშორდებოდა და იმას კი ჯვარ-დაწერილი ცოლი.

ნუნუ გაშტერებული, გონება დაბნეული ყურს უგდებდა ნამუს დაკარგული კაცის ლაპარაკს, ცდილობდა კარგად ჩაესმინა ეს ურცხვი ლაპარაკი, მაგრამ მაინც არა სჯეროდა, რომ ადამიანის შვილს ამ სიმცირემდინ მისვლა შეეძლო. იმას ეგონა რომ ბირგოლა მარტო ან გამოსაცდელათ ელაპარაკება ან არა და დასცინოდა.

— ქალაუ, ჩაიგონე: შენ ჩემი უნდა იქნა, ჩემთვის მოურგიხარ წერას.

— ჩემს სიკვდილს უფრო მალე ნახამ სანამ მაგას!

— ქალაუ! შენ ხუმრობ, მაგრამ მე კი აღარ მეხუმრების! ბ იქნია თავი ბირგოლამ.—აქამდინ დაგაცადე ხათრად ეგეც კმარა!

ამ სიტყვების შემდეგ ის მივიდა ქალთან და ხელი გაავლო. ნუნუმ გაიბრძოლა, მაგრამ ღონივრად ჩავლებულს ხელს ვერ გამოუსხლტა.

— ბირგოლაუ, გრცხვენოდეს! დაიძახა იმან.

— რაიღა სირცხვილისაა, ღვთის მადლსა? უპასუხა იმან ურცხვად და მიიკრა გულზედ.

— შენი ძმის ცოლი ვარ... არშის წმიდა „გიორგის“ სტუმარი, იმას ხათრი შეინახე!.. აჰუ! კაცი არ ყოფილხარ! დამეხსენ, იწამე ღმერთი! ევედრებოდა ხვეწნით ნუნუ, მაგრამ ვინ იყო იმისი მსმენელი?

აღელვებულს ბირგოლას ქალისთვის გაშმაგებით ჩაევლო მკლავებში ხელი და ისე ძალზედ უჭერდა, რომ ძვლებს ჭახჭახი გაჰქონდა. ბირგოლას შეჭმუხვნილი წარბების ძირიდგან გადუებულს ნაღვერდალსავით გამოიყურებოდნენ შესაზიზღი თვალები. კბილებ მოჭერილი და ცხვირის ნესტოებ გაგანიერებული მძიმედ, მაგრამ ძალზედ ძლივსღა იქცევდა სულსა. იმას იმ დროს ყოველისფერი დავიწყებოდა და მარტო ერთს პირუტყულს წადილს დაემორჩილებინა, შეეპყრო.

ნუნუმ უნებურად შეხედა იმას და რა დაინახა იმის დაპრანჭული სახე, დარწმუნდა, რომ სიტყვებს არავითარი გავლენა აღარ ექნებოდა გამხეცებულს კაცზედ. ის იწოდა, იტანჯებოდა თავის მდგომარეობით და დაღუნებული, თითქოს რკინის ჭახრაკ მოჭერილი მკლავები წარმოუთქმელს ტკივილს აგრძნობინებდა.

ბირგოლამ მეორე ხელი მოხვია წელზედ, მიიკრა ახლოს და აცახცახებულის ნერწყვ-მოსულის ტუჩებით საკოცნელად მიიზიდა; მაგრამ იმან მიახლოება ვერ მოასწრო, როდესაც ცამ ძალზედ იჭექა და უსიამოვნო გოგირდის სუნი დატრიალდა; ეტყობოდა ახლო-მახლოს სადმე მეხი უნდა ჩამოვარდნილიყო.

ამ ჭექამ ბირგოლა შეაკრთო და თავისავე უნებურად ხელები გააშვლევინა. რა წამს ნუნუს თავი თავისუფლად დარჩა და პირველი გაშტერებიდგან გამოვიდა, ის წამოვარდა, მივარდა ცულს, რომელიც იქვე ეგდო, აიტაცა და ისე გამოვარდა გარედ.

ბირგოლამ, რომელიც უკან გამოეკიდა, წინ გადაურბინა და გზა გადუღობა.

— ქალაუ, ხუმრობ-თუ?! დაცინვით შეზძახა იმან.—ღვთის მადლმა, აგრე ადვილათ ვერ წახვალ.

„ამა 1882 წლის იანვრის 13-ს, ოდესაც მას ჰყავნდა სამი დღის ვაჟი ილი, სიხარულით გაემგზავრა სა-ნლის სასყიდლათ და თან წაიღო თუმანი ფული და ამბავი დაგ-ვდო, რომ ხვალ ვახშამს ადრე ნუ მით, უთუოდ მოვალო.

„ჩვენ მეორეს დღეს დიდ ხანს ვე-ლოდეთ და ვსრეთ თითქმის ორ-სამ თვამდის იმედი გვქონდა იმისი მოს-ვლისა, მაგრამ ვეღარ ვეღირსეთ. შემდ-ომ მამა-ჩემი წავიდა და გამოაცხადა დაკარგვა ზაქათალის ნაჩალნიკ-თან, რომელმანც, ვალისა და თანამ-დებობისამებრ თვისისა, მისწერა აქეთ-იქით, მაგრამ ვეღარც მკვდარი ვი-პოვეთ და ვეღარც ცოცხალი და ამ ით ვიმყოფები დიდს მწუხარებაში არსაითა მაქვს ნუგეში ჩემის თა-ვის ცხოვრებისა და პატარა ბავშვის აზრდისა, რადგანაც მამა-ჩემი არის ღელ ღარიბი და ჩემი ქმრის საც-ხოვრებელი არის ჩემის სამშობლო-დან ძრიელ შორს, სადაც მე არას ზით არ შემიძლიან წასვლა.

„როგორც ჩემი ქმარი მეტყოდა ლმე ის იყო ნამყოფი ვლადიკავ-კაზში, ბორჯში და სხვა ალაგებში, ამი-სათვის მე ვფიქრობ: იქნება ის წავი-და ბორჯში და ის იყოს, რომელიც ვნიათ ბორის მაზრაში სოფელს ეჯის მახლობლად ნახნავებში, რომ-ლის მცნობი და პატრონი არავინ გამოჩენილა და რომელზედაც არის ხსენებული თქვენს გაზეთს „დროე-ბაში“ № 70-ში. მართალია, იანვრის 13-დამ მის პოვნამდის მარტის 24-მდის კარგა დრო, მაგრამ იქნება დადიოდა ალმე საქონლის სასყიდლათ და იქ ატარა ამოდენი დრო და როდესაც გაემგზავრა ქართლისაკენ, იქ მოკვდაო.

„ნეტამც ინებებდეს ანუ ბატონი ისტავი ბურგენიძე და ანუ სოფ-ლის მეტეხის მამასახლისი, რომ სიღ-ნაღის უეზდის ნაჩალნიკის სახელო-ბაზედ გამოგზავნიდნენ ერთ-ერთს ანუ ნივთს და ანუ ტანთ-საცმელს, ჩვენს საჩვენებლათ, რომ ვნახოთ და დავრწმუნდეთ, თუ ჩვენია, მის სიკვ-დილზედ.

„ის იყო ოც-და-მეცხრე წელში, თან ჰქონდა თოფი და ხანჯალი, რაც ტანთ საცმელი ჰქონდა, თან წაიღო, ამისთვის ეცვა სამი ახალუხი: ორი შავი პრუნელისა, ერთი მათგანი ყვი-თელ გრეხილიანი და მეორეც შემოვ-ლებული და მესამეც ლურჯი დიმიკი-ტონისა; აგრეთვე ეცვა შავი ვარგი ლეკური შალის ჩერქესკა ოქრომკე-დის ყაითნით მორთული და შალვა-რი ლეკურისავე შავი შალისა, ქამარი ერტყა თასმისა, თუ რომ ნივთის ანუ ტანთ საცმელისა გამოგზავნა საძნე-ლოთ ეჩვენებათ, მაშ ვსთხოვ, რომ თუ აღწერილს ტანთ საცმელში, ანუ ნივთებში ეცნოთ რამე, თქვენისავე გაზეთით გვაცნობონ.

სიღნაღის მაზრის სოფ. ბოდბის-ხევში მცხოვრებელი დაკარგულის თედო ბუჩაშვილის მეუღლე მარიამ ჭაბაშვილის ქალი.“

## „დროების“ კორრესპონდენცია.

—

**სიღნაღი, 17 აპრილი.** ყველანი დარ-წმუნებული ვართ, ყველა ვამბობთ, რომ შესრულება იმისთანა მძიმე მო-ვალეობისა, როგორც მასწავლებლი-სა, მოითხოვს უხუმარ მომზადებას; მაგრამ საქმე და გამოცდილება, საუ-ბედუროთ, გვიჩვენებს მრავალს შე-საწუხარს მაგალითებს.

კახეთის ორი მესამედი სკოლების ბედ-იღბალი მინდობილია იმისთანა პირებისთვის, რომელთაც არაფერი არ გაეგებათ არც პედაგოგიისა, არც ცხოვრებისა. ამ ბატონებს მასწავ-ლებლობის ღირსება შეუძენიათ ზოგს სამოქალაქო, ზოგს სასულიერო სას-წავლებლებში კურსის შესრულებით, რომლებსაც, როგორც მოგეხსენებათ, არავითარი მიზანი არა აქვთ მოამზა-დონ შაგირდები პედაგოგიურ ხელო-ბისთვის.

ამ აზრის დამამტკიცებელ მაგალი-თად მოვიყვან აქ ერთს:

ორი უდიდესი სოფელი მაზიყში ვაქირი და ანაგი ეს ოთხი წელიწადია რაც ეცილებიან ერთ სკოლის გახსნას საეროთოდ. მასწავლებლად ახლად გახს-ნილ სკოლისა მთავრობამ დროებით დანიშნა ერთი აღგილობრივი სამო-ქალაქო სასწავლებლის მეორე კლა-სიდამ გამოსული ნაშაგირდალი ბ. ა—ოვი. მინამ სკოლა, სასოფლო სახლის უქონლობის გამო, სოფელს გამართული ჰქონდა დაქირილ სახლ-ში და ბევრი მხრით გაუწყობელი იყო, ხალხი ჰფიქრობდა: —„ჰე, ჯანი გა-ვარდეს, იყოს ეგა.

ამისთანა გაუწყობელ სკოლაში არც კარგი ვინმე მოვა. ავაშენოთ ახალი სკოლა, მოუმატოთ ჯამაგირი, მაშინ კარგი მასწავლებელი კიდეც მოვი-თხოვოთ.“

მართლაც ხალხმა თავის ნათქვამი აასრულა: სკოლის სახლიც ააშენა დიდი ეზოთი, მასწავლებლის ჯამაგი-რიც ორმოც თუმნად უქციეს და სრული მოიმედენიც იყვნენ, რომ არც მთავრობა უარს ეტყოდა რიგიან მასწავლებლის დანიშვნას.

მაგრამ ულალატა იღბალმა, შეს-ცდნენ იმედში: მთავრობამ ისევ ბ. ბ—ოვი აურჩია მასწავლებლად ამ ორ სოფელსა, სადაც 1200 კომლია, მაშასადამე უკანასკნელი 120 შაგირ-დის მოგროება შეიძლება; მაგრამ ამ სკოლაში ვერც 20 შაგირდს ნახავთ ეხლა. ბ. ბ—ოვის გამოუცდელობა ბავშვების სწავლებაში ისე ცხადია, რომ ამას დამტკიცება არ უნდა. თუ მთავრობას ჰსურდა შეეტყო თუ ამის-თანა მოუმზადებელი მასწავლებლები რა მშვენიერ ნაქს იჩენენ სწავლება-ში—ეს წარსული ოთხი წელიწადიც დიდი ხანი იყო ამისთვის.

ყოველ მხრივ იმედ მოკლებულმა გლეხმა არ იცის-რა ჰქნას: ის თავის შვილის ბედნიერებისთვის არ ზოგავს არც ფულს, არც ტანჯვას, ოღონდ კი სკოლას ეჩვენა იმისთვის ცოტა ნაყოფი. თუ რამდენათ გულ-აცრუ-ებით უყურებს ამ სკოლას, ჩვენ გვიჩ-ვენებს ლაპარაკი ერთის გლეხისა, რომელმაც მითხრა ამას წინათ: „—რა-ზე დავლუპეთ იმოდენა ფული და ვი-ტანჯეთ? სკოლა ავაშენეთ, რისთვის? ეს ოთხი წელიწადია ბ-ოვი ასწავლის და ყმაწვილებმა ქართული კითხვაც არ იციან-ბანა მართლა ერთი რიგია-ნი უჩიტელი ვერ უშოვიათ. ეს რამ-დენჯერ არის ყმაწვილები მიდიან სკოლაში და ისევ უკანვე ბრუნდე-ბიან-კარები დაკეტილიაო, უჩიტელი შინ არ არიო.“ მეორე გლეხი კი ეუბნება: „თუ შინ იყოს, იმის თავის მზემ, ბევრ რასმე ასწავლიდა. ჰე, რა გაეწყობა შვილო, იმათ კი ეგ, მოს-წონთ, ჩვენ ვინა გვკითხამს რასმე... ნეტავ კი ეს ჭირი მოგვაშორონ, კარგ სიკეთეს გვიზამენ.“

ვინმე ქალი.

## წერილი რედაქტორთან.

—

„დროების“ 75 ნომერში წავიწით-ხე წერილი ბ. უ. და ა—ისა რომელ-შიაც თანა-უგრძნობს და მადლობას სწირავს კნა. ბარათოვისას, რომელ-მაც შესწირა ქართულ დრამატიულ საზოგადოებას საჭირო ნივთები და თან დასძინებს, რომ „ჩვენში, არამც თუ თავიანთ საკუთარ ნივთებს არ სძლევნიან ჩვენს ღარიბ დრამატი-ულ საზოგადოებას, არამედ სხვისი ფულით დამზადებულს ნივთებსაც კი მალვენ, ალპობენ თავიანთ სკივრებ-ში და თვალითაც არ ანახვებენ უი-მისოთაც დაბრკოლებულ წრეს“.

თუ უკაცრავათ არ ვახლდები, აქ ცოტა შემცდარი ბძანდება ბ. ავტო-რი; არ სცოდნია გარემოება ამ ნივ-თებისა, რომელიც, ქართული დრამა-ტიული წრის საკუთრებით ითვლე-ბა.

როდესაც ნეტარ-ხსენებული შუ-

---

— ბამეცალე, შე თათარო, ურჯუ-ლო!.. გზა! შეჰკივლა ქალმა და შეუ-ლო ცული.

ბირგოლა გვერდზედ გახტა, ძალ-ზედ მოქნეული ცული-კი ზუზუნით მოვიდა, მოხვდა ვეღიანს მიწას და მდინ შიგ ჩაჯდა. ბირგოლამ ძალ-ზედ გაიხარხარა, გადმოხტა საჩქაროდ და სანამ ნუნუ ცულის ამოღებას აწრობდა, ძალზედ მოხვია ხელე-ბი, ასწია გულ-შემოყრილი ქალი და იტანა ოთახში.

იმან მიიტანა საგებელთან, რო-მელზედაც დაასვენა და დაუწყო გა-ცებით კოცნა. ცოტა ხანს დამშვი-დებული ბირგოლა თითქო ისევ სი-მქემ შეიპყრო და თავ-დავიწყებით, ბრაზებით დაუწყო ალერსი...

გულ-შემოყრილმა ნუნუმ, როდე-საც გონს მოვიდა და თვალები გაა-ხილა, დაინახა თავის მტარვალის სა-ხე, რომელსაც მასხარათ აეგდო, დაემ-ცირებინა იმისი ყმაწვილ ქალობა, იმისი ნამუსი!

რა წამს ნუნუ გონს მოვიდა, სი-ზიზღით წამოვარდა და დაიწყო ტი-რილი. ისა ხედავდა თავის თავს გაუ-პატიურებულს, შერცხვენილს და ნა-მუს ახდილს... ცოდვილს ღმერთისა და კაცის წინაშე. იმას სიტყვა ვეღარ ამოეღო სირცხვილით და ჯავრით, მაშინ, როდესაც ბირგოლა წამოწო-ლილი მხარ-თეძოზედ ღიმილით უყუ-რებდა.

— მოდი ქალოვ, სად გარბი... ეხ-ლა მაინც ჩემი ხარ! უთხრა ბირგო-ლამ და ქალისკენ მოსაზიდათ გაიშვი-რა ხელი.

პირველივე მოძრაობა ნუნუსი—კარისკენ გაქცევა იყო, მაგრამ მოაზ-რებულს ბირგოლას მაგრა დაკეტა არ დავიწყებოდა და ამისთვის იმედ-გა-დაწყვეტილი ნუნუ უნდა შემდგარი-ყო.

— რაია?.. ვერ გაალე? დაცინვით ჰკითხა ბირგოლამ.

ნუნუ თავ-დაღუნული გამობრუნ-და, მოვიდა შუა ადგილას, შესდგა რაოდენიმე ხანს, თითქოს რალაზედაც დაფიქრდა, მერე გაბრუნდა ერთბაშათ და გავიდა მეორე ოთახში, რომელიც იქვე გამოქვაბულში იყო.

ბირგოლამ კარგად იცოდა, რომ იქიდგან გასასვლელი არ იყო, ამის-თვის არ შეიწუხა თავი და ისევ ისე მხარ-თეძოზედ წამოწოლილი ნებივ-რობდა დარწმუნებული, რომ დღეის შემდეგ ნუნუ იმას დარჩა, იმას დაე-კუთნა. და ნუნუს სიჩუმე და ცრემ-ლები-კი იმის აზრით იყო შედეგი ყმაწვილი ქალის გამოსალმება წარ-სულთან და მიგებება მომავალთან.

— ჰაი ჰაი, რო იტირებს, ფიქრობ-და გირგოლა, — პირველად გაიგო სიყვარული....ქალია სცხვენიან და ხმას იმად არ იღებს...ეხლა ალარ-სად წავა, ჩემი იქნების, მე მეკუთნე-ბის და ცხოს—არვისა.

ის ამ მოაზრებაში იყო, როდესაც მეორე ოთახიდგან რალაცის ბრახუნი მოისმა თითქოს, მძიმე რამ დაეცა მიწაზედ და ეს ხმა ყრუდ გამეორდა გამოქვაბილში. ბირგოლა შეკრთა და თავისვე უნებურად ფეხზედ წამო-ვარდა; მიიხედ მოიხედა და გაქანდა მეორე სამყოფოსკენ.

ის შევიდა და გაშტერდა; ცეცხ-ლის შუქზედ, რომელიც მცირედ ანა-თებდა, დაინახა ჭერში ჩამოკიდებული ნუნუ, რომელსაც სახე დაჰპრანჭოდა უკანასკნელი წუთების მოახლოებით; კბილებ დაკრეჯილს, თითქოს უფრო დაგძელებულს შესაზარივი სახე დაზ-დებოდა. დაჭყეტილი თვალები, რო-მელსაც სიცოცხლე დაეკარგა, თით-ქოს ყვედრებით უყურებდა როგორც ბირგოლას ისე ხალხს, მთელს ქვეყა-ნას. ჩამოხრჩობილი ჯერ კიდევ წყნა-რად ირყეოდა, როგორც ფურცელი სუბუქს ნიავისგან.

ბირგოლა გაექანა, გადასჭრა თოკი რომელთაც ნუნუ ჩამოკიდებულიყო და საჩქაროდ შეხსნა ყელიდამ საბე-ლი.

ა. მოჩხუბარიძე.

(გაგრძელება)

თაისის ტრუპპა გაუქმდა, ხსენებული ნივთები, უხარ-მახარი მოწნულ სკივრში ჩაყრილი, მოიტანა ერთ იმ ტრუპპის წევრთაგანმა და მითხრა დრომდის და საჭიროებამდის შემენახა. Თუმცა ბევრი ვეხვეწე, სხვისთვის მიენდოთ ეგ ვალდებულება, მაგრამ დღემდის ის სკივრი ჩემთან არის.

Ექვსი თუ შვიდი თვე არის მას შემდეგ, გავიგე ტრუპპა არსდება ბ. Აკაკის თაოსნობითაო. მე, როგორც ქართული სცენის მოყვარეს და ერთ დროს მის გულითად მოსამსახურეს, ეს ამბავი ძრიელ მიამა, მით უმეტრო, რომ Აკაკი ჰკიდებდა ხელს;—ვიფიქრე ეს წრე მკვიდრ ნიადაგზე დადგება-მეთქი. Არ მახსოვს რა პიესას დგამდნენ, როდესაც მომივიდა ბ. Აკაკისაგან ბარათი, რომელშიაც საჭირო ტანისამოსს მთხოვდა. Თუმცა ბევრი ვეძებე ხსენებულ სკივრში მაგრამ ვერც ერთი იმათგანი ვერ ვნახე და მივწერე ზემო-ხსენებულ პირს გადაეტანათ ის ნივთები ჩემგან, მაგრამ პასუხი არ მომცა. Იმას გარდა, რამდენიმე ახალი წრის წევრთაგანსაც უთხარი მოეშორებიათ ჩემთვის ის სკივრი, მაგრამ ამაო გახდა, არ ვიცი რა მიზეზით.

Ამას წინათ ერთი იმ წევრთაგანი მოსულიყო და რადგან მე სახლში არ ვიყავი, აერჩია სამი თუ ოთხი ხელი ტანისამოსი და წაეღო; ეს ტანისამოსი ჯერაც არ დაუბრუნებიათ და არც დღეს ვიცი სად არის.

Თუმცა ძრიელ გასამტყუნარი ვარ ამ შემთხვევაში, რადგან, როგორც წესია, ისე არ ჩამიბარებია ეს ტანისამოსი მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ცუდს არაფერს დამწამებდნენ და არ დამითვლია ეს ნივთები და არც არავის ჩაუბარებია ჩემთვის ანგარიშით

Ეხლა უმორჩილესად ვითხოვ ვისიც ჯერ არს, რომ გამაცალონ ის სალოდავი და მეტად ღარიბი ნივთები, რომლებზედაც საქვეყნოდ ლაპარაკისაც კი მრცხვენიან; მაშინ იქნება გადავრჩე ამისთანა გადაკრულ-გადმოკრულ სიტყვებს.

ან. მესხისა.

18 აპრილს, ქ. ქუთაისი.

## ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეკოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირამანოვი და დანიელ-ბეკოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

„Წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მმართებლობა ამით აცხადებს, რომ მისგან დაარსებულს ბათუმის სკოლაში გაიხსნება მასწავლებლების ვაკანცია თიბათვიდამ. Ვისაც სურს ეს ადგილი დაიჭიროს, შეუძლიან წარმოადგინოს თხოვნა ამ საზოგადოების სამწერლოში, (მთაწმინდა, ხევის ქუჩა, № 9.) (5—2)

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ Ნ. ᲫᲘᲡ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ** და **Ბ. ᲠᲔᲪᲝᲚᲓᲘᲡ ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲨᲘ** იღებენ ზაფხულის თვეებში ყმაწვილებს მოსამზადებლად სამხედრო და სამოქალაქო გიმნაზიებში, რეალურ სასწავლებელში, საოსტატო ინსტიტუტში და სხვ.

მიხაილოვის ქუჩა სახლის № 81

(2—1)

## ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

Თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად-გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

**Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).**

**сост. Д. П. Пурцеладзе.**

ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

Დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება Თფილისის წიგნის მაღაზიებში

**ᲘᲒᲐᲕ-ᲐᲠᲐᲙᲜᲘ**

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდგან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.

Დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ**

შედგენილი

კ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

Დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡ**

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

ქუთაისის გუბ. თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო

# ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐ აცნობებს ხსენებულის ბანკის წევრთა, რომ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲐᲛᲐ 1882 ᲬᲚᲘᲡ 1[illegible] მაისისათვის, დილის თერთმეტ საათზე, ქ. ქუთაისს, ბანკას გამგეობის სადგომში.

საზოგადო კრების განსახილველი საგნები არიან შემდეგნი:

1) განხილვა და დამტკიცება ბანკის ანგარიშისა 1881 წლისა.

2) დამტკიცება ბანკის ხარჯებისა 1882 წლისათვის.

3) შეცვლა და დამტკიცება დამფასებელთ კომისიის ინსტრუქციის ზოგიერთთა §§.

4) დანიშვნა იმ საგნებისა, თუ რაზედ უნდა მოხმარებულ იქნეს საზოგადო საჭიროებათათვის გადადებული ფულები.

5) ამორჩევა რიგით გამოსასვლელთ მაგიერ: ბანკის გამგეობის წევრის თ. ფაღავასი, ორთა ზედამხედველის კომიტეტის წევრთა და ბანკის გამგეობის წევრთა ერთის კანდიდატისა. (3—2)

## ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

ხვანჭკარის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობისა

1881 წლისა.

1 იანვარს 1881 წელსა იყო:

| შემოსავალი: | მან. კაპ. | გასავალი: | მან. |
|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 9,599—69 | ბასესხებული — — | 11,078— |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — | 500— „ | ნაღდი ფული — — | 658—4 |
| სათადარიგო თანხა — | 242—91 | | |
| წმინდა მოგება — — | 1,393—81 | | |
| Ჯამი | 11,736—41 | Ჯამი | 11,736—4 |

1881 წელში:

| შემოსავალი: | მან. კაპ. | გასავალი: | მან. კ |
|---|---|---|---|
| წილადი ფული — — | 297—66 | წილადი ფული — — | 660—74 |
| სარგებელი დაჭერილი გასესხების ან ახალი ვადის მიცემის დროს | 885—95 | მოგება 1880 წლის წილადებზე მიცემული | 681—26 |
| Ჯარიმა — — — | 111— 2 | ბასესხებული — — | 13,528— „ |
| Დაბრუნებული სესხები — | 13,952— „ | სარგებელი დაბრუნებული ვადაზედ წინ გარდახდილი სესხისა — | 20—67 |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — | 284— „ | სასარგებლოდ შემოტანილი — — — | 500— „ |
| სათადარიგო თანხა — | 139— „ | სარგებელი სასარგებლოდ შემოტანილისა | 33—30 |
| | | სამართველოს ხარჯი — | 292—40 |
| | | სხვა-და-სხვა გასავალი — | 14— „ |
| | | Ალებ მიცემის გასავალი | 356—92 |
| Ჯამი | 15,669—63 | Ჯამი | 16,087—29 |

1 იანვარს 1882 წელსა არის:

| | მან. კაპ. | | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილადი ფული — — | 9,236—61 | ბასესხებული — — | 10,654— „ |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — | 284— „ | ნაღდი ფული — — | 240—75 |
| სათადარიგო თანხა — | 381—91 | | |
| წმინდა მოგება — — | 992—23 | | |
| Ჯამი | 10,894—75 | Ჯამი | 10,894—75 |

ნამდვილთანა სწორ არს გამგებელნი: თ. კ. ყიფიანი, ბესარიონ ბაქრაძე. (3—2)

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Апрѣля 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი